# ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# განკარგულება

განკარგულება:**გ-13.13221954**
თარიღი:**14/07/2022**

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე**

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუქნტის შესაბამისად,

**1.** მოწონებულ იქნას ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, 2022 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები დანართის შესაბაბისად.

**2**. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.#62ᵇ.)

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

| N | რეგიონი | მუნიციპალიტეტი | 2022 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება | კატეგორია | რეგ. ფონდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება | რეგ. ფონდი | სულ |
| 1 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანის გზის რეაბილიტაცია | გზა | 24 021,72 | 456 412,69 | 480 434,41 |
| 2 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია | გზა | 32 408,05 | 615 752,97 | 648 161,02 |
| 3 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ქალაქ ახალციხეში ბაღინაშვილის II ჩიხის გზის რეაბილიტაცია | გზა | 3 232,37 | 61 415,05 | 64 647,42 |
| 4 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ქალაქ ვალეში თამარმეფის ქუჩის რეაბილიტაცია (მონაკვეთი I) | გზა | 8 459,77 | 160 735,67 | 169 195,44 |
| 5 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ქალაქ ვალეში თამარმეფის ქუჩის რეაბილიტაცია (მონაკვეთი II) | გზა | 21 149,41 | 401 838,88 | 422 988,29 |
| 6 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია | გზა | 14 717,32 | 279 629,12 | 294 346,44 |
| 7 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუგარეთში შიდა გზის რეაბილიტაცია | გზა | 26 673,00 | 506 787,00 | 533 460,00 |
| 8 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ქალაქ ახალციხეში საფარის ქუჩაზე სამხედრო ნაწილთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | გზა | 10 991,34 | 208 835,46 | 219 826,80 |
| 9 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლანაში გზის რეაბილიტაცია | გზა | 93 946,03 | 1 784 974,61 | 1 878 920,64 |
| 10 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხე | ქალაქ ახალციხეში ჩოლოყაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია | გზა | 15 833,83 | 300 842,69 | 316 676,52 |

საკრებულოს თავმჯდომარე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო · LOCAL COUNCIL OF AKHALTSIKHE MUNICIPALITY · GEORGIA 224101317

დავით ლომიძე